

შპს „ავტოტრანსპორტი 91“

**2022 წლის
ფინანსური ანგარიშგება**

ქუთაისი

2023 წ

შპს ავტოტრანსპორტი 91

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	ზომის ერთეული: ლარი		
	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	117124	29855	2429
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	241701	101403	115836
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	13550	41425	40545
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	13550	41425	40545
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	96929	18297	18164
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	9601064	8830705	1635463
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	10070368	9021685	1812437
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	8592	1914
სავაჭრო ვალდებულებები	5224	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4000	512	15764
საგადასახადო ვალდებულებები	0	15013	11011
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1097102	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1106326	24117	28689
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	180783	12268	-60915
გადაფასების რეზერვი	7408188	7408188	76605
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1373071	1575112	1766058
სულ საკუთარი კაპიტალი	8964042	8997568	1783748
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10070368	9021685	1812437

შპს ავტოტრანსპორტი 91
საქმიანობის შედეგები

	ზომის ერთეული: ლარი	
	31/12/2022	31/12/2021
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	905857	714295
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	897718	706659
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	8139	7636
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	905857	714295
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-359484	-457600
ცვლითა / ამორტიზაციის ხარჯი	-159454	-145794
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
ოჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-165580	-98633
სულ საოპერაციო ხარჯები	-684518	-702027
საოპერაციო მოგება	221339	12268
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და	0	0
საჯალალო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-40556	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციები	0	12268
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	180783	12268
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მოლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	180783	12268
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8997568	1783748
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერაციის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-214309	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	7201552
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8964042	8997568

შპს ავტოტრანსპორტი 91

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	ზომის ერთეული: ლარი	
	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	105789	27426
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1051930	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1056047	0
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	109906	27426
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-22637	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	29855	2429
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	117124	29855

შპს „ავტოტრანსპორტი 91“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ავტოტრანსპორტი 91“ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში 1995 წლის 29 დეკემბერს.

შპს „ავტოტრანსპორტი 91“-ის გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი არის 212670091. კომპანიის მისამართია: ქალაქი ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის ქ. 53 გ. შპს-ს დამფუძნებლები არიან:

- ქეთევანი მაჩიტაძე - 5,25%;
- გულნაზ მამალაძე - 5,25%;
- სალომე მამალაძე - 89,5%.

შპს „ავტოტრანსპორტი 91“-ის საქმიანობის პროფილი არის უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) გაქირავება.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც დაიწყო 2022 წლის 1 იანვარს და დამთავრდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში.

მომზადების საფუძველი

შპს „ავტოტრანსპორტი 91“-ის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

განმარტებითი შენიშვნები

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „ავტოტრანსპორტი 91“ უწყვეტად განაგრძობს თავის საქმიანობას: პარტნიორები და ხელმძღვანელობა არ გეგმავენ მის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას და არ არსებობს გარემოებები, რომლებიც აიძულებს მათ ამის გაკეთებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში დამატებით აღნიშვნას.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები

- კომპანიის ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მოიცავს ანგარიშსწორების ანგარიშზე და ორგანიზაციის სალაროში არსებულ ფფულად ნაშთებს;
- აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების მიღების ან გადახდისას) და აისახება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი;
- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე;
- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს;
- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, უწყვეტი აღრიცხვის გზით;
- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით; ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. ამასთან, სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას მენეჯმენტის მიერ გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების გარემო;

- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები;
- ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის და მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, გაწევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი;
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;
- არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით - თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით;
- თანამშრომელთა ხელფასები და სხვა ანაზღაურება - მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, საშვებულებო ანაზღაურებას და დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო;
- კომპანიის დებიტორული დავალიანებები მიმდინარე მოთხოვნებია, რომლებიც წარმოიქმნა მოიჯარეების მიერ გადასახდელი საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდის გამო;
- კომპანიის მიმდინარე კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენენ მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც, წარმოიქმნა სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით შესყიდვის შედეგად და როგორც წესი, იფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდში. ასევე წარმოადგენენ გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილს, რომელიც იფარება საანგარიშო პერიოდში;

- კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს გრძელვადიან სესხს, რომელსაც კომპანია იყენებს გრძელვადიანი აქტივების შესაქმნელად;
- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის, მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს და ამ შენატანების ნაზარდს, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად და რჩება კომპანიას საოპერაციო საქმიანობისათვის დამფუძნებლისათვის დივიდენდების გადახდის შემდეგ;
- შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით;
- კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია ასევე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები;

შპს „ავტოტრანსპორტი 91“-ის დირექტორი

/ს. მამალაძე/

